



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ  
სერვერის აღაკტირების უსყიდვბა (ქსელის ინტერფეისების  
ბარათები - CPV 30237135) გამართივბული ელექტრონული  
ტენდერი**

2011 წელი 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

**სარჩევი:**

1. ზოგადი დებულებები;
2. ტექნიკური დავალება;
3. სატენდერო წინადადების ფორმა;
4. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის ნიმუში;
5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

## 1. ზოგადი დებულებები

1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობების განმარტებების მიღებისათვის მიმართეთ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს **ლევან სარაჯევს**, ტელ: 577 112110 ელფოსტა: **saradjev@gmail.com**. ხოლო ტენდერის პროცედურების განმარტებების მიღებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს ნოდარ ფოცხვერაშვილს, ტელ: 577 777989; 228 26 01. ელფოსტა **nodari.25@gmail.com**;

მისამართი: ქ. თბილისი, მ. აბდუშელიშვილის ქუჩა №1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ოთახი №112.

2.

სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: <b>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.</b>
სატენდერო კომისიის შემადგენლობა: <b>1) სულხან სიბაშვილი (თავმჯდომარე);</b> <b>2) გიორგი პეტრიაშვილი;</b> <b>3) ვასილ ანდლულაძე;</b> <b>4) თინათინ სირაძე.</b>
სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: <b>1) ნოდარ ფოცხვერაშვილი;</b> <b>2) ანა გურგენიძე.</b>
სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს <b>ქართულ ენაზე.</b>
პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:  1. ინფორმაციას მისაწოდებელი ადაპტერების ტექნიკური მონაცემებისა და საგარანტიო პირობების შესახებ ამასთან, გარანტია უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ ერთ წელზე; 2. ანგარიშსწორების პირობებს; 3. პრეტენდენტის რეკვიზიტებს; 4. ფასების ცხრილს.
პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. <b>ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.</b>
სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით. <b>ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.</b> <b>ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის 2011 წლის საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში წინასწარი ანგარიშსწორების გზით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების იდენტური ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.</b>
ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით. აღნიშნული საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისი მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას (დანართი №2).

## 2. ტექნიკური დავალება

### 2.1

#### HP BL 460 G1 სერვერის FC HBA ადაპტერი - 1 ცალი.

##### წარმადობა და ფორმფაქტორი:

**Blade Type:** Pci Express Type I Mezzanine Card

**Performance:** 150,000 IOPS per port

**Port Configuration:** Dual 4G Fibre Channel Ports

**Media Types:** 62.5/125 multimode fiber optic cable with LC type connector

##### მენეჯმენტი და პროტოკოლები:

**Management Features:** Qlogic SANsurfer FC HBA Manager for centralized management and remote control of distributed HBAs

**High Availability Features:** Multi-Path support for both FC service Class 2 and 3

### 2.2 HP BL 460 G1 სერვერის ქსელის ადაპტერი - 4 ცალი

<b>Network Processor</b>	Broadcom 5708S
<b>Data rate</b>	Two ports, each at 2 Gbps full duplex (theoretical maximum)
<b>Bus type</b>	x4 PCI Express 1.0
<b>Form factor</b>	Mezzanine card compatible with all ProLiant c-Class server mezzanine slots
<b>IEEE Compliance</b>	802.1p, 802.1Q, 802.3, 802.3ad, and 802.3x
<b>Operating</b>	<b>Temperature</b> 50° to 95° F (10° to 35° C)
	<b>Humidity</b> 10% to 90% non-condensing
<b>Non-operating</b>	<b>Temperature</b> -40° to 158° F (-40° to 70° C)
	<b>Humidity</b> 5% to 95% non-condensing
<b>Power requirement</b>	Maximum 15 Watts
<b>Emissions classification</b>	FCC Class A
<b>RoHS Compliance</b>	5 of 6

✓ გარანტია უნდა ვცვლდებოდეს არანაკლებ ერთ წელზე.

#### 2.2 მიწოდების პირობა:

შემსყიდველის მოთხოვნიდან 4 კალენდარული კვირის განმავლობაში

#### 2.3 მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, მ. აბაშვილიძის ქუჩა №1.

სატენდერო წინადადება

თარიღი: -----

ვის: -----

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: -----

(პრეტენდენტის დასახელება და მისამართი)

შევსწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია ყველა დანართის ჩათვლით, თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ სერვერის ადაპტერების მიწოდება (ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან) ჩვენს მიერ სისტემაში დაფიქსირებულ ბოლო ფასად.

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენი სატენდერო წინადადება უზრუნვეყოფილია ელექტრონული გარანტიით.

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაშია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

ამით ვადასტურებთ, გავეცანით საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1. ინფორმაცია მისაწოდებელი ადაპტერების ტექნიკური მონაცემებისა და საგარანტიო პირობების შესახებ;
2. ანგარიშსწორების პირობები;
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები;
4. ფასების ცხრილი.

-----  
(ხელმოწერა)

-----  
(თანამდებობა)

-----  
(პრეტენდენტის დასახელება)

## ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები (მწარმოებლები)	წარმოშობის ქვეყანა	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა
1	HP BL 460 G1 სერვერის FC HBA ადაპტერი			ცალი	1			შემსყიდველის მოთხოვნიდან 4 კალენდარული კვირის განმავლობაში. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. აბდუშელიშვილის ქუჩა №1
2	HP BL 460 G1 სერვერის ქსელის ადაპტერი			ცალი	4			

**შენიშვნა:** „ფასების ცხრილის“ საბოლოო ღირებულება დგინდება ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დამთავრების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ღირებულების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა  
(საბანკო გარანტია)

ვის: \_\_\_\_\_

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ \_\_\_\_\_

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდეგში -მიმწოდებელმა \_\_\_\_\_ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხის ოდენობით, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

\_\_\_\_\_  
(თანხა ციფრებით)

\_\_\_\_\_  
(თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტის ხელმოწერა და ბეჭედი

\_\_\_\_\_

(თარიღი)

\_\_\_\_\_

(მისამართი)

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებულ პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № –**

ქ. თბილისი ----- 2011 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, წარმოდგენილი საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსის გიორგი პეტრიაშვილის სახით (შემდგეში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, -----, წარმოდგენილი ----- სახით, (შემდგეში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **N SPA--** ----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდგეზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1. ხელშეკრულების საგანია: სერვერის ადაპტერების შესყიდვა (ქსელის ინტერფეისების ბარათები - CPV 30237135).
- 1.2. ერთეულის ფასი, რაოდენობა და სხვა მახასიათებლები მოცემულია №1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

- 2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
- 2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: ----- ლარს თანმდევი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

**3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

- 3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს
- 3.2 ამასთან, გარანტია უნდა ვცვლდებოდეს არანაკლებ ერთ წელზე. *(დაზუსტდება).*

**4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი**

- 4.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს №1 დანართის შესაბამისად .
- 4.2 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი მ. აბდუშელიშვილის ქუჩა №1.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადებით, „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

**6. ანგარიშსწორების პირობები**

- 6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღლო ანგარიშსწორება ლარებში.
- 6.2. *(დაზუსტდება).*

## 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

## 8. მხარეთა უფლებები

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს საქონლის ხარისხის და მოცულობის კონტროლი.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხი, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.



10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### **11. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

### **12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

### **13. ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე**

13.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

13.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ლევან სარაჯევი.

### **14. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია**

14.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმად გამოყენებულია ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

14.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობის საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას და ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

### **15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 201--წლის ----- ჩათვლით. ამასთანავე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა მხრებს არ ათავისუფლებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან. (დაზუსტდება).

### **16. სხვა პირობები**

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმწერა შესრულებული უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შედგენისა და ხელმოწერის შემდეგ.

### **17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

შემსყიდველი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

ქ. თბილისი, მ. აბდუშელიშვილის ქუჩა №1

ს/კ 204455446

სახელმწიფო ხაზინა

220101222

ა/ა 200122900

გ. პეტრიაშვილი

# დანართი №1

## ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები (მწარმოებლები)	წარმოშობის ქვეყანა	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა
1	HP BL 460 G1 სერვერის FC HBA ადაპტერი			ცალი	1			შემსყიდველის მოთხოვნიდან 4 კალენდარული კვირის განმავლობაში. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. აბდუშელიშვილის ქუჩა №1
2	HP BL 460 G1 სერვერის ქსელის ადაპტერი			ცალი	4			